საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი", საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის N2-353 ბრძანების საფუძველზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისში ქ. თბილისში თვალჭრელიძის ქ. №24-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.19.002.100)ახორციელებს სახიფათო ნარჩენებს ინსინერაციის (სამედიცინო ნარჩენების ინსინერაცია) საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი"-ს საწარმოში დაიგეგმა „ABONO"-ს ფირმის A-4 სერიის „ABONO-251" მოდელის ინსინერატორის განთავსება, რომლის წარმადობა შეადგენს 250 კგ/სთ-ს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, საწარმოში მოახდინოს არა მხოლოდ სამედიცინო ნარჩენების გაუნებელყოფა, არამედ სხვა სახის სახიფათო ნარჩენების გადამუშავება, მათ შორის ფარმაცევტული ნარჩენები და იონიზირებული წყალი. საწარმოში გასაუვნებელი ნარჩენების სახეობების ცვლილება დაკავშირებულია ნარჩენების რაოდენობის ზრდასთან და მათი ინსინერაციისათვის საჭირო გახდა უფრო მაღალი წარმადობის ინსინერატორის განთავსება. შესაბამისად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, „ABONO"-ს ფირმის A-4 სერიის „ABONO-251" მოდელის ნაცლად, საწარმოში დამონტაჟდეს „ABONO-720" სერიის ინსინერატორი, რომლის მაქსიმალური წარმადობა იქნება 625 კგ/სთ.

საწარმოს წარმადობის გაზრდასთან და ასევე დამატებით სხვა სახეობის ნარჩენების ინსინერაციასთან დაკავშირებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის გათვალისწინებით, კომპანიამ, სკრინინგის განცხადებით მიმართა სამინისტროს, რომელზეც გაცემული იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის დაცვის მინისტრის 2020 წლის 11 მარტის N2-226 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად, საქმიანობა დაექვემდებარა გზშ-ს პროცედურას. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად ჩვენს მიერ დაგეგმილ საქმიანობაზე მომზადდა სკოპინგის ანგარიში:

წარმოგიდგენთ სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენების ინსინერაცია) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენ გადაწყვეტილებას.

შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი"
ქ. თბილისი, თვალჭრელიძის ქ. №24.
ს/კ № 205295893
კონტაქტი: +995 555 66 22 20

ს.ს. „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი : TBCBGE22
ა/ა GE18TB7002336060100001

№ 6395
24 04 2020

წერილს თან ერთვის:

- შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი"-ს სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენების ინსინერაცია) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის Shp ფაილი, შესაბამისი პროექციით;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი"-ს რეგისტრაციის თაობაზე;
- სკოპინგის ანგარიშის და საპრეზენტაციო მასალის ელექტრონული ვერსია CD დისკზე.

პატივისცემით,

შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი"-ს

დირექტორი

თამაზ კოხრეიძე

თბილისი 24 აპრილი 2020 - №38

შპს მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი
205295893
დოკუმენტებისათვის

შპს „მედიკაღ საპორტ ენდ ტექნოლოჯი"
ქ. თბილისი, თვალჭრელიძის ქ. №24.
ს/კ № 205295893
კონტაქტი: +995 555 66 22 20

ს.ს. „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი : TBCBGE22
ა/ა GE18TB7002336060100001